საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №147/ნ
2017 წლის 29 აგვისტო

ქ. თბილისი

„მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის №112/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის №112/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge; 05/09/2016; ს/კ: 430110000.22.022.017185) და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებულ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭების წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ წესის საფუძველზე, სახელმწიფო სასწავლო გრანტი მიენიჭებათ ქვემოთ მითითებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე შემდეგი რაოდენობით ჩარიცხულ პირებს:

№	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	ადგილების რაოდენობა
1	სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	100
2	სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	120
3	სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	75
4	სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	50
5	სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	25
6	სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	40
7	სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	25
8	შპს – საქართველოს უნივერსიტეტი	25
9	სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	60
10	შპს – შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	15
11	შპს – გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	20

12	სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია	5
13	შპს – აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	9
14	სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	5
15	შპს – თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი	14
16	ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	150
17	სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	35
18	ა(ა)იპ – ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	30
	საერთო რაოდენობა	**803**

მუხლი 2
ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **ალექსანდრე ჯეჯელავა**